მატჩი გასაჩივრებულია

(მოსკოვი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

8 სექტემბერს, მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე 90.000 მაყურებლის თანდასწრებით ჩატარდა მიმდინარე წლის საკავშირო თასის გათამაშების ნახევრადფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდი: სსრკ ჩემპიონი – **მოსკოვის "სპარტაკი" და თბილისის "დინამო".**

მოსკოვის "სპარტაკი" თამაშობდა ძირითადი შემადგენლობით. დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ: დოროხოვი, შავგულიძე, გაგუა, ჯორბენაძე, ფროლოვი, ჭელიძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი და ხარბედია.

პირველ ტაიმში თბილისის დინამოელებს სასტიკი იერიშები მიჰქონდათ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე და აშკარა საფრთხეში აყენებდნენ "სპარტაკის" კარს, მაგრამ დამცველთა ენერგიულმა თამაშმა არ მისცა მათ ბურთის გატანის შესაძლებლობა.

შეჯიბრების მეორე ნახევრის მე-18 წუთზე "დინამოს" კარის წინ კრიტიკული მომენტი შეიქმნა. ახლო მანძილიდან ურტყამს სპარტაკელი პროტასოვი. ბურთს კარის ხაზიდან იგერიებს შავგულიძე. მსაჯი გორელკინი კი სრულიად გაუგებარი მიზეზით ბურთს გატანილად თვლის. თამაშის შემდეგ წუთებში მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა. შეხვედრა დამთავრდა "სპარტაკის" სასარგებლოდ ანგარიშით 1:0.

თბილისის "დინამომ" მატჩი გაასაჩივრა.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 10 სექტემბერი, 1939 წ.